ტექნიკური დავალება #134 და #59 ჭაბურღილების საკაპტაჟე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე

ბორჯომი 2024

წარმოდგენილი ტექნიკური დავალების მიზანია შეირჩეს სამშენებლო კომპანია, რომელიც განახორციელებს #134 და #59 ჭაბურღილების საკაპტაჟე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს.

ობიექტი მდებარობს ქალაქ ბორჯომში, ყოფილი მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე, ფართით 1045.00 მ2, რომლის საკადასტრო კოდია: 64.23.01.153. და ეკუთვნის სააქციო საზოგადოება „ბორჯომმინწყლებს“-IDS ბორჯომი საქართველო (საიდენტიფიკაციო კოდი: 226109653)

აღნიშნულ ტერიტორიაზე დამთავრებულია #59 ბურღილის რენოვაცია და მთავრდება ახალი #134 ჭაბურღილის ბურღვითი სამუშაოები (იხ. სქემა). მითითებულ ბურღილებზე საჭიროა მოეწყოს საექსპლუატაციო საკაპტაჟე ნაგებობები. კომპანია „ბორჯომმინწყლებს“- IDS ბორჯომი საქართველოს მომზადებული აქვს ტექნიკური პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია და ნებართვები, რომელთა შესაბამისადაც მშენებელმა კომპანიამ უნდა განახორციელოს საკაპტაჟე ნაგებობების მშენებლობა და მთლიანად ტერიტორიული კეთილმოწყობის პროექტის რეალიზაცია.

ტოპოგრაფიული გეგმა

ექსპლიკაცია

1. №134-ე ჭაბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა;
2. №59-ე ჭაბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა;
3. დაბეტონებული გზები და მოედნები;
4. შამფურანები;
5. ბოძკარი;
6. საკადასტრო საზღვარი.
7. საოპერატორო.

საკაპტაჟე ნაგებობები წარმოადგენენ ერთსართულიან სენდვიჩ-პანელით და მილ-კვადრატებით კონსტრუირებულ შენობებს და ეფუძნებიან რკინაბეტონის ფილაში ინტეგრირებულ ცოკოლს. მათი გაბარიტები გარკვეულწილად ერთმანეთთან უნიფიცირებულია და შეადგენს: #134 ბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა: სიგრძე-10.00 მ., სიგანე-4.70 მ., სიმაღლე საძირკვლის ძირიდან სახურავის კეხამდე-3.91 მ. #59 ბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა: სიგრძე-4.70 მ., სიგანე-2.76 მ., სიმაღლე საძირკვლის ძირიდან სახურავის კეხამდე-3.91 მ. მათგან, #134 ბურღილის საკაპტაჟე ნაგებობას გააჩნია იატაკის ორი დონე (30 სმ. სხვაობით და შიდა ორი კიბის საფეხურით), რაც ადგილობრივი რელიეფით არის ნაკარნახევი. აღნიშნულ შენობას აქვს შემინული ორი კარი (ორფრთიანი და ერთ ფრთიანი) და ორი ფრამუგა. შემინული კარი (ორფრთიანი) აქვს #59 ბურღილის საკაპტაჟე ნაგებობას. კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია მოცემულია პროექტის ტექნიკურ დოკუმენტაციაში. ტექნიკურ დოკუმენტაციაში არის მითითებული ნაგებობებში გათვალისწინებული მოპირკეთების და მოწყობის სამუშაოების ნუსხა.

#134 ჭაბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა



#59 ჭაბურღილის საკაპტაჟე ნაგებობა







პროექტი მოიცავს სანიაღვრე წყალარინების და საკანალიზაციო ნაწილს, რაც განპიროვნებულია როგორც ტერიტორიის რელიეფით, ასევე ბურღილების ექსპლუატაციის სპეციფიკით.

სრული ტექნიკურ პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია ტენდერში მონაწილე სამშენებლო კომპანიისთვის მიწოდებულია ცალკე ფაილით.

შერჩეულმა მშენებელმა (კონტრაქტორმა) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თავისი რესურსების მობილიზება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მაღალი ხარისხით, მოცემული ტექნიკური პროექტის და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. მოახდინოს სამუშაოთა წარმოება და გადაცემა დამკვეთი ორგანიზაციისათვის ექსპლუატაციაში მისაღებად. კონტრაქტორმა თავისი რესურსებისა და სამუშაო ძალის გათვალისწინებით უნდა დააზუსტოს პროექტის განხორციელების გრაფიკი და მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება და ჩატარდება რეალური სამუშაოები. აღნიშნული გრაფიკი მოიაზრება, როგორც კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შესრულებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ.

კონტაქტორი ვალდებულია მამზადოს ტექნიკური და ფინანსური წინადადება, რომელიც დაფუძნებული იქნება ტექნიკური პროექტზე და საპროექტო დოკუმენტაციაზე, გაითვალისწინებს ნახაზებსა და პროექტის განმარტებით ბარათს, ასევე ყველა შეთანხმებასა და პირობას რომელიც შესულია სამშენებლო ნებართვის დოკუმენტების პაკეტში და პროექტის დოკუმენტაციაში. სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთვის კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს საშემსრულებლო ნახაზების პაკეტი რეალურად აშენებული სტრუქტურების აღწერით.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2024 წლის მე-2 მე3 კვარტალში. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატებს, რომლებიც შეძლებენ სამუშაოების შესრულებას შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა ვადები არგუმენტირებული უნდა იყოს სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმით.

დამატებითი კითხვების ან დაზუსტებების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ.

ვახტანგ შარაშენიძე,

სს ბორჯომმინწყლები

ლაშა გვაზავა

IDS ბორჯომი საქართველო,

მისამართი:IDS ბორჯომი საქართველო,

თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N 10

სს ,,ბორჯომმინწყლები“

ბორჯომი, ბარათაშვილის ქუჩა N5

www.borjomi.com

vsharashenidze@borjomi.com

lgvazava@borjomi.com